საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 9 20 0001132249

27/11/2020

2020-2021 სასწავლო წელს ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6^1 მუხლის მე-4 პუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „$ც^2$“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის 95/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 პუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის ნოემბრის N1126759, N1131528, N1131619 და N1131955 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, თელავი, ზუგდიდი, ზესტაფონი, გორი, ფოთი, მარნეული და გარდაბანი, სასწავლო პროცესი 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარმართონ დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი წარიმართოს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებამდე;
3. 2020-2021 სასწავლო წელს, სასწავლო პროცესი დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით განახორციელოს:
ა) შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N1-ის შესაბამისად;
ბ) ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N2-ის შესაბამისად;
გ) გურიის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N3-ის შესაბამისად;
დ) იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N4-ის შესაბამისად;
ე) კახეთის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N5-ის შესაბამისად;
ვ) მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N6-ის შესაბამისად;
ზ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N7-ის შესაბამისად;
თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N8-ის შესაბამისად;
ი) სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორიაზე მოქმედმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ ბრძანების დანართის N9-ის შესაბამისად.
4. 2020-2021 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელის გამოყენებით განახორციელონ, ამ ბრძანების დანართი N10-ით გათვალისწინებულმა სკოლებმა;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები, ახალი კორონავირუსის (Covid 19) გავრცელების გამო, 2020-2021 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების თაობაზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი